საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 15 დეკემბრის
დადგენილება № 372

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე
მყოფი სტუდენტებისათვის შუასემესტრული ტესტირებისა
და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს

1. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფ სტუდენტებს სემესტრის განმავლობაში ჩაუტარდეთ სამი შუასემესტრული ტესტირება;
2. სამივე ტესტირება და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ჩატარდეს სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში;
3. პირველ პუნქტში მითითებული კატეგორიის სტუდენტებს თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) I, II, III შუასემესტრული ტესტირებები და დასკვნითი გამოცდა არ შეიძლება ჩაუტარდეთ ერთ დღეს;
4. III შუასემესტრული ტესტირების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულასა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულ შეფასებებში დაგროვებულ ქულებს შორის სხვაობას;
5. ფაკულტეტების დეკანებმა, სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილებასთან (ბ. გითოლენდია) ერთად სწავლების დეპარტამენტში წარმოადგინონ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასაყვანი სტუდენტების სიები;
6. სტუდენტთა ელექტრონული მონიტორინგის სისტემის კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფმა გაითვალისწინოს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის შეფასებათა რეგისტრაციის ღონისძიებები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**